სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საჩხერის # 2 საჯარო სკოლის

ჟურნალისტიკის კლუბის "S – TV"

წ ე ს დ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ ქალაქ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საჩხერის # 2 საჯარო სკოლის ჟურნალისტიკის კლუბი დაფუძნებულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა ინიციატივით.

1.2. კლუბი დაფუძნებულია ერთი სასწავლო წლის ვადით.

1.3. კლუბს აქვს სახელწოდება, ლოგო, აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს სხვა რეკვიზიტები.

1.4. კლუბის მისამართი: ქ. საჩხერის, ლაშა ლაშხის ქუჩა N1.

2. კლუბის მიზნები და ამოცანები

2.1. ხელი შეუწყოს სკოლაში და თემში მიმდინარე პროცესების გაშუქება - პოპულარიზაციას. სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებს, აქტიური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

2.2. გააშუქოს სხვადასხვა ღონისძიებები/საკითხები;

2.3. სასკოლო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ინტელექტუალური,კულტურული და სპორტული ღონისძიებების, კონკურსების შესახებ;

2.4. თანამშრომლობა სკოლის თვითმმართველობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

2.5. ხელი შეუწყოს მედიაწიგნიერებისა და ციფრული ტექნოლოგიების უნარ - ჩვევების განვითარებას.

3. კლუბში გაწევრიანება

3.1. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია;

3.2. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ამავე სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს;

3.3. კლუბის ყველა წევრს აქვს უფლება მონაწილეობდეს კლუბის სამუშაოების შეხვედრების პროცესებში;

3.4. კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, შეასრულოს კლუბის ხელმძღვანელის დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

3.5. კლუბი პასუხისმგებელია მისი წევრის მხოლოდ იმ უფლება-მოვალეობა-ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც დაკავშირებულია კლუბის საქმიანობასთან;

4. კლუბის წევრების უფლება-მოვალეობანი

4.1. კლუბის წევრის უფლებაა მონაწილეობდეს კლუბის შეხვედრებში;
4.2. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
4.3. მიიღოს ინფორმაცია კლუბის საქმიანობის შესახებ;
4.4. კლუბის წევრის მოვალეობაა დაიცვას კლუბის წესდება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
4.5. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
4.6. გაუფრთხილდეს კლუბის ავტორიტეტს.

5. კლუბის მმართველი სტრუქტურა

5.1. მეურვე მასწავლებლები, რომლთა უფლებამოსილებაა უხელმძღვანელონ კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად წარადგინონ კლუბი მესამე პირებთან, უხელმძღვანელონ კლუბის მიერ განსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, განაგონ კლუბის ქონება;
5.2. კლუბის ლიდერი;
5.3. კლუბის წევრი მოსწავლეები.

6. კლუბის მუშაობა

6.1. კლუბი იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე;
6.2. კლუბი მუშაობს წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმით;
6.3. კლუბი ქმნის facebook –ის გვერდს, სადაც განთავსდება ინფორმაცია კლუბის სახელწოდება, კლუბის წესდება, სამოქმედო გეგმა და ფოტომასალა კლუბის საქმიანობის შესახებ;
6.4. ამ წესდების მეორე მუხლით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად კლუბის წევრები:
• ახორციელებენ კვლევას სკოლის მოსწავლეთა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხვებზე;
• ორგანიზებას უწევენ კონკურსებსა და სხვადასხვა პროექტებს;
• უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებას კლუბის ფარგლებში წამოჭრილ სიახლეებთან დაკავშირებით;
• წინადადებებით მიმართავენ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას.